

სიმონ ჯანაშია

ფსევდო-არსენი

ჩვენ იძულებული ვართ ჯერ-ჯერობით ასე ვუწოდოთ იმ ძველ ქართველ მწერალს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არსენი კათალიკოზის სახელით არის ცნობილი [1]. ამ ავტორს შეუდგენია ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია, რომელიც მთლიანად 1903 წ. გამოსცა პ. კარბელაშვილმა ([2], გვ. 53). ჩანს, ამავე ძეგლის მცირედ განსხვავებულ ნუსხას წარმოადგენს ის „ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა“, როგორც მას უწოდებს თ. ჟორდანიას, საიდანაც ჟუკანასკნელმა უკვე 1897 წ. გამოაქვეყნა ერთი ექსცერპტი; ჟორდანიას ცნობით, ხელნაწერი XVII ს. იყო და კერძო პირს ეკუთვნოდა ([3], 519—520). ტექსტის ისტორიისათვის ინტერესს მოკლებული არაა რომ მას განუცდია არა მარტო მანუსკრიპტული განვითარება, არამედ ლიტერატურული გადამუშავებაც, როგორც ეს ჩანს ჟორდანიას მიერვე დაბეჭდილის სხვა „ვარიანტის“ ანალოგიური შინაარსის ექსცერპტიდან, რომელიც გამომცემელს ამოუღია იმავე პირის კუთვნილი 1732 წ. ხელნაწერიდან ([3], 521—522). პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვებითაც, „შემდეგში ვილაცას ეს შრომა ცოტათი შეუმოკლებია და მოუცია თავისუფალი პერიფრაზი მისი, ალაგ-ალაგ რამდენიმე ახალი ცნობის ჩართვით“ ([4], 320).

ამ მწერლის ვინაობა დღემდე გაურკვეველია, რისი მიზეზიც მანუსკრიპტული ტრადიციის ვითარებაში ძევს. ძეგლის შემცველი ხელნაწერები მეცნიერულად შესწავლილი არ არის. ერთადერთი მოკლე აღწერილობა ეკუთვნის თ. ჟორდანიას, რომელიც საეკ. № 707 ხელნაწერისათვის აღნიშნავს რომ ეს არის ნინოს ცხოვრება, „შედგენილი ქართლის კათალიკოსის არსენის მიერ (X ს.), როგორც ეს ჩანს ტექსტის ხელით შესრულებული მინაწერიდან ბოლოში“... (აქვე დაბეჭდილია ეს ანდერძი): № 707 ნაწილია ამავე ფონდის № 199-ისაო. ორივე ხელნაწერი დათარიღებულია, ხელის მიხედვით, XII საუკუნით ([5], II, 177—178; I, 223—226). ამავე ჟორდანიას საეკლ. № 518-ის აღწერილობაში მე-28 თავად აღნიშნული აქვს „ნინოს ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი ვარიანტი, რომელიც, როგორც ჩანს, არსენი კათალიკოზის (X ს.) კალამს ეკუთვნის“; ჟორდანიას არაფერს ამბობს ამ საკითხავისა და № 707-ის ურთიერთდამოკიდებულებებს შესახებ. ხელნაწერი დათარიღებულია 1708 წლით ([5], II, 68—72). ჟორდანიას არაფერს ამბობს აგრეთვე ამ „ვარიანტების“ დამოკიდებულებაზე „ქრონიკებში“ დაბეჭდილ ნაწყვეტებთან.

ძეგლის გამომცემელ კარბელაშვილს მხოლოდ შემდეგი აქვს აღნიშნული: იგი მოთავსებულია საეკლ. მუზ. ხელნაწერში, რომელიც ნაწილია „დიდის არსენ ქართლის კათალიკოზის კრებულისა“ და „XI ანუ XII ს-ისაა“; თვით.

„ცხორებაც“ „შედგენილია“ დასახელებულ არსენის მიერ X ს-ში. კარბელა-შვილს ხელთა ჰქონია „ცხორების“ „მეორე პირიც“ „ასე XVIII ს. დამდეგისა“ და იქიდან შეუვსია თავის გამოცემაში პირველი ხელნაწერის ნაკლი ([2], 53 და სატიტულო ფურცელი). კარბელაშვილსა და ჟორდანიას უყურადღებოდ აქვთ დატოვებული მათ მიერ აღწერილ-გამოცემული ხელნაწერების (თუნდაც ძეგლის ანდერძების) ურთიერთობის საკითხიც.

პროფ. კ. კეკელიძემ მიუთითა რომ ამავე კრებულის ნაწილებია მოცემული ფონდის ხელნაწერები №№ 832 და 833, რომელნიც, ხელის მიხედვით, დათარიღებულია XIII საუკუნით ([4], 154). მ. ჯანაშვილი-კი მათ XIII—XIV ს-ით ათარიღებს ([5], III, 24—44).

ამრიგად, ძირითადი ხელნაწერის დათარიღებისათვის მყარი საფუძველი არ არსებობს, იგი შეიძლება მხოლოდ მიახლოებით XI—XIII სს. მიეკუთნოს. აღნიშნული ხელნაწერების ჟორდანიასეული აღწერილობის შედარება კ. კარბელაშვილის ცნობასთან იმ კრებულის შედგენილობის შესახებ, საიდანაც ამოღებულია მის მიერ გამოცემული „ნინოს ცხორება“, სარწმუნო ჰყოფს რომ კარბელაშვილი და ჟორდანია ერთიდაიმავე ხელნაწერით (საეკლ. № 707) სარგებლობდნენ. კარბელაშვილი კრებულის შედგენილობაში უჩვენებს, სხვათა შორის, „გრიგოლი რომთა პაპის დიოლოლონს“, რომელიც არ არის 199, 707, 832 და 833 ხელნაწერებში. იქნებ ეს არის № 199-ის „ნაწყვეტები პეტრე ქართველისა და გრიგოლის დიალოგიდან“ (ჟორდანიას აღწერილობით), შეცდომით ამოკითხული კარბელაშვილის მიერ (შდრ. აგრეთვე № 829, იქვე).

კიდევ უფრო მერყევ საფუძველზეა დამყარებული მოსაზრება არსენი კათალიკოზის ავტორობის შესახებ. კარბელაშვილს ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი, თუ რატომ მიაჩნია მას ავტორად არსენი კათალიკოზი და ეს უკანასკნელი კიდევ—X ს. პირად. ჟორდანიაც არსენის დროდ სრულიად დაუსაბუთებლად X ს. დასდებს, ხოლო არსენის ავტორობის საფუძვლად მინაწერის (ანდერძის) ცნობას ასახელებს. ჟორდანიას მიერ გამოცემული მინაწერის სათანადო ადგილას კი ვკითხულობთ: „ამისთჳს ვიკადრე . . . . . ა[რა რაჲსა პატივისა] ღირსმან ა[რსენი მთავარებისკოპოსმან] აღწერად [ცხოვრება წ[სა ნინოჲს ნე]ტარისისა (sic! ს. ჯ.) მშობელთა [მისთა]“ და სხვა ([5], II, 178). აქ, როგორც ვხედავთ, ავტორის სახელიდან პირველი ასო „ა“ ჩანს შენახული, დანარჩენი აღდგენილია (კვადრატული ფრჩხილების ჩვენება!), მაგრამ არ ვიცით-კი, რის საფუძველზე.

კარბელაშვილთან ჟორდანიას „ა[რსენი მთავარებისკოპოსს]“ უდრის „არ...ნი“, ასე რომ, თუმცა აქ წოდებულება სრულებით არ ჩანს. მაგრამ სახელი თითქოს უფრო კარგად იკითხება. ჟორდანიას, როგორც უფრო გამოცდილი ფილოლოგისა და პალეოგრაფის, წანაკითხის მიხედვით მაინც საფიქრებელია რომ მაშინაც ისევე, როგორც დღეს ანდერძის იმ ადგილას, სადაც ავტორის სახელი ეგულებოდათ. დასაწყისი „ა“-ნის გარდა არაფერი იკითხებოდა. შემდეგ: ჟორდანიას „მთავარებისკოპოსმან“ შეესაბამება კარბელაშვილის ფრჩხილებში ჩასმულ „ამისა“-ს. ცხადია, ამგვარ ცნობების

საფუძველზე არც ჟორდანიას და არც კარბელაშვილს არ ჰქონდათ უფლება ასეთი კატეგორიული დასკვნა გაეკეთებინათ ავტორის ვინაობისა და დროის შესახებ.

ძეგლის შედგენის დროის საკითხს შეეხო ე. თაყაიშვილი, რომელმაც თუმცა მთლიანად მიიღო კარბელაშვილის წანაკითხი, მაგრამ უარყო მისი დათარიღება. ძეგლი შეუძლებელია X ს-ს ეკუთვნოდეს, იმიტომ რომ მასში იხსენიებიან კეისარი ბასილი II (გარდ. 1023) და ანტიოქიელი პატრიარქი იოანე III (1034—1042). ავტორს უეჭველად გამოყენებული აქვს ეფრემ მცირის „უწყება“, ხოლო დემეტრე მეფე<sup>1</sup> თუ დემეტრე II არ არის, დემეტრე I უნდა იყოსო. ამ მოსაზრებით, თაყაიშვილს „ცხოვრების“ (მისი დახასიათებით — მეტაფრასის) ავტორად მიაჩნია დავით აღმაშენებლის თანამედროვე არსენ იყალთოელი ([8], 83, შენ.).

პროფ. კ. კეკელიძე ძეგლს მიაკუთვნებს არსენ ბერს, დავით აღმაშენებლის თანამედროვეს. არსენი კათალიკოზის ავტორობა უარყოფილია არა ჟორდანიას-კარბელაშვილის წანაკითხების მიუღებლობის გამო, არამედ შემდეგი მოტივით: „ეს თხზულება დაწერილია დიმიტრის მეფობაში (1125—1154 წ.) და ეკუთვნის არა არსენ დიდს კათალიკოზს, როგორც გამომცემელს ჰგონია. ამისი მსგავსი კათალიკოზი დიმიტრის მეფობაში არც ყოფილა ვინმე, — არამედ ჩვენს არსენ ბერს; ეს შემდეგიდანა ჩანს: ენა ამ თხზულებისა და არსენ ბერის სხვა შრომებისა, უფრო-კი რუის-ურბნისის ძეგლის წერილისა, ერთიდაიგივეა. აზრებითაც ისინი ძაან უახლოვდებიან ერთმანეთს“-ო. შემდეგ პროფ. კეკელიძე უჩვენებს ამ ენობრივი და იდეური შეხვედრის პუნქტებს. მაგრამ ამ არგუმენტაციას ასუსტებს ის გარემოება რომ დასახელებულ „სხვა შრომებს“, კერძოდ — „ძეგლისწერას“, პროფ. კეკელიძე პირობითად მიაწერს არსენ ბერს: „თუ ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა ეკუთვნის არსენ ბერს, მასვე უნდა მივაკუთვნოთ მეტაფრასტული ცხოვრება წმ. ნინოსი“ ([4], 317—320). შემდეგ: „თუ დასახელებული შესხმა დავით მეფისა ძართლა არსენ ბერს ეკუთვნის, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ძეგლისწერა წმინდისა და ღმრთივ-შეკრებულისა რუის-ურბნისისა კრებისა“ ([4], 316). გარდა ამისა, ამ ძეგლების იდეური და ენობრივი ნათესაობის საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. დათარიღება დიმიტრის მეფობით. რაც ემყარება კარბელაშვილის წანაკითხს. რომელიც ანდერძში უჩვენებს: „(ამისა) აღწერად მეფობასა დიმიტრისასა“ ([2], 52), სამწუხაროდ, აგრეთვე უნიადაგო გამოდის. სიტყვა „მეფობა“ კარბელაშვილის წანაკითხში XVIII ს. ხელნაწერიდან შემოტანილად არის ნაჩვენები, ხოლო ჟორდანიას წანაკითხში სრულებით არ ჩანს. რაც შეეხება სახელს „დიმიტრისასა“, რომლის ფორმაც ენობრივად საეჭვოა ძეგლის ეპოქისათვის, ჟორდანიასთან იგი შეცვლილია სიტყვით „ნეტარისასა“. ჩვენი დაკვირვებითაც, უკანასკნელი საკითხავი უფრო უახლოვდება სინამდვილეს.

ამ მკვლევართ არ მიუქცევიათ ყურადღება რომ ნინოს ცხოვრების ეს რედაქცია გამოუყენებია თეიმურაზ ბატონიშვილს [9], რომელიც ერთი თავისი ცნობის წყაროდ ასახელებს „სრულიად საქართველოს კათალიკოსს არსენ

<sup>1</sup> კარბელაშვილის მიერ გამოცემულ ანდერძში მოხსენებული, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

დიდს“ ([10], 110, შენ. 3) და „კათალიკოსი არსენი დიდის მოთხოვნას“ ([10], 111, შენ. 2), ([6], 57—61).

რაზეა დამყარებული თეიმურაზის ცნობა არსენი კათალიკოზის ავტორობის შესახებ, აგრეთვე არ ჩანს და, ამდენადვე, არც ისაა დამაჯერებელი. გულისეჭვით ვიტყვით, რომ როგორც თეიმურაზზე, რომელიც ჩანს ამავე კოდექსით სარგებლობდა, ისე ჟორდანია-კარბელაშვილზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა შემდეგმა გარემოებამ. ხელნაწერი, რომელშიაც დატულია ძეგლი, წარმოადგენს ჰაგიოგრაფიულს, უპირატესად, კრებულს. აქ არის საქართველოს ეკლესიის მოღვაწეთა ცხორებანიც. ამათგან იოანე ზედაზნელის ცხორებას თვით ხელნაწერი მიაკუთვნებს არსენი ქართლის კათალიკოზს. რაკი ნინოც საქართველოს ეკლესიის მოღვაწე იყო და მისი ცხორების ანდერძში ავტორის სახელი თითქოს ა-ნით იწყებოდა, ამიტომ შეიძლებოდა დაბადებულიყო მიდრეკილება ამ შებღალულ სახელში „არსენი“ ამოეკითხათ და შემდეგ ის იმავე „არსენი ქართლისა კათალიკოზთან“ გაეიგივეებინათ. ჩვენს ეჭვს აძლიერებს კარბელაშვილის განცხადება, რომ მის მიერ გამოცემული ძეგლის შემცველი ხელნაწერი არის „ნაწილი დიდი არსენ ქართლის კათალიკოზის კრებულისა“-ო ([2], 53) და თეიმურაზის ბიბლიოთეკის კატალოგში მოხსენიება არსენი კათალიკოზის კრებულისა ნინოს ცხორებითურთ ([6], 58, შენ. 3).

ანდერძის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო როგორც ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით, ისე სხვა მხრივაც, ვბეჭდავთ მას აქ.

A707 ქარაგმით და ძეგლის პუნქტუაციით:

- |            |                                       |                                    |
|------------|---------------------------------------|------------------------------------|
| 18a, I სვ. | 1 წ'ნო მმ'ნო და ძმ'ნო ესე ნტ'რისა ნი- | 25 სსწლთა და შრომათა და ლუ-        |
|            | 2 ნოჲს ცბ'რბჲ. შეუწყობლად             | 26 აწლთა მისთა დავიწყბა-           |
|            | 3 და გ'ნბნეულ'დ. ქართლისა             | 27 სა მიცემ'დ. რ'ნი იგი ლ'ნ ადიდა, |
| 18b, I სვ. | 4 მოქცევისა თ'ა და ჰანბავ-            | 28 და რ'სა მ'რ გ'ნ'თლდა ნ'თესა-    |
|            | 5 სა მ'ფეთასა. თ'ნა აღრეულ-           | 29 ვი ჩ'ნი და ლ'ისმეცხიერებ'დ პო-  |
|            | 6 ად სწერია ვ'ა თ'ქნ უწყით            | 30 ვა. ამისთ'ს ვიკადრე თვთ         |
|            | 7 რ'იმე თვთ მის წი'სგ'ნ მითხრო-       | 31 მის წ'ისა მ'ხბათა თ'ა შწ'ვნი-   |
|            | 8 ბილ'დ. რ'იმე მეფისა მირიანი-        | 32 თა. და თქ'ნთა ბრძ'ნებ'ათა       |
|            | 9 ს'გნ. სხ'დ ი'კბ ძლდ'ლისგ'ნ. სხ'დ    | 33 მრჩილებითა. მე უნდომან          |
|            | 10 აბიათარისგ'ნ. სხ'დ კ'დ სიღო-       | 34 მტუტ'რმ'ნ ფრ'კთა თქ'ნთამ'ნ,     |
|            | 11 ნიაჲსგ'ნ. გ'რნა წინუკუანა,         | 18b, 35 ყ'(დ?) . . . . .           |
|            | 12 და უკუანაწარ. იგივე                | II სვ. 36 და . . . . .             |
|            | 13 და ერთი პირი, და ამისთვს           | 37 ლირსმ(ნ?) ა . . . . .           |
|            | 14 საეკლესიოდ მკითხვ'ლთა-             | 38 აღწერ . . . . .                 |
|            | 15 თ'ს ფ'დ საწყინო იყო. და მსმე-      | 39 ტრის'სა, მშობ . . . . .         |
|            | 16 ნ'ლთათ'ს უკმარ. და ვერ             | 40 ღზრდით სლვ(?) . . . . .         |
|            | 17 საცნაურ, ამის პირისათ'ს,           | 41 თა ლ'წლთა და ქ . . . . .        |
|            | 18 დაფრ'ლდ მდებარე იყო. და            | 42 სსწ'ლთა შ'დთი შ'დ ზიწ'.. .      |
|            | 19 თ'ა წ'რვკვდებოდეთ. მითხ-           | 43 ლიტონითა სიტყვთა . . . . .      |
|            | 20 რობასა ლ'წლისა მისის'სა,           | 44 პირი რი ძუტლსა შ'ა სწ'.. .      |
|            | 21 დღესა კს'ნებისა მისის'სა.          | 45 არცა შემიმატებია' არც'.. .      |
|            | 22 რ'ნი ესე დიდი ზღვ'ვაჲ არს          | 46 დამიკლია'. ა'დ ძ'ლი სიტყვსა.    |
|            | 23 ყ'თა მ'რწმნეთათ'ს, და უფ-          | 47 და გ'მოცხადებ'დ საქმის'ა, მ..   |
|            | 24 როჲსად ჩ'ნ ქართველთა.              | 48 კლედ და მარტივად წარმო-         |

- 49 მითქუამს. და მრ'ვლკეცსა,
- 50 და მს'ვე თა აღრეულობასა
- 51 ჰანბვისსა თაწრკდილვა-
- 52 რ, და უკ'თუ რ'დმე შესავლ'დ
- 53 თხრობისა. ანუ ადგილ ად-
- 54 გილ შესაკრავად სიტყვსა,
- 55 ს'ტყ'დ გვკმარებია. იგიცა
- 56 სლ'თთა წიგნთ'გნ. და წ'თა მ'რ
- 57 თქმ'ლის'გნ არს, და ყ'ი კ'ტი, და

- 58 კ'ტბით აღწერილი. და წამე-
- 59 ბული მ'თ მ'რ. აჰა წ'ე თქ'ნ-
- 60 სა არს, შეზღუდვილნო
- 61 სლ'დთა სიყრ'ლითა, და მ'რდის
- 62 მოსურნენო წ'თა ღწ'ლისა-
- 63 ნო, იკითხვედით და ერსა
- 64 წ'რმოუთხრობდით. სადრ'დე-
- 65 ბლ'დ ღ'ისა და პტი'ვასა მისისა
- 66 რს'დ არს ღბ'დ

პუნქტირით—გადასული ტექსტი, ფრჩხილებში—საექვოდ ამოსაკითხი.

ქარაგმის გახსნითა და ახალი პუნქტუაციით:

„წმიდანო მამანო და ძმანო! ესე ნეტარისა ნინოძს ცხორებაჲ შეუწყობლად და განბნეულად „ქართლისა მოქცევისა“ თანა და „ჰანბავსა მეფეთასა“ თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუსნ უწყით, რომელიმე თვთ მის წმიდისაგან მითხრობილად, რომელიმე—მეფისა მირიანისაგან, სხუად—იაკობ მღდელისაგან, სხუად—აბიათარისაგან, სხუად კუალად—სიდონიაჲსაგან, გარნა წინ—უკუანა, და უკუანა—წარ, იგივე და ერთი პირი.

და ამისთვის საეკლესიოდ მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის—უკმარ და ვერ საცნაურ; ამის პირისათვის დაფარულად მდებარე იყო. და თანაწარვკვდებოდეთ მითხრობასა ღუაწლისა მისისასა დღესა ქსენებისა მისისასა, რომელი ესე დიდი ზღვევაჲ არს ყოველთა მორწმუნეთათვის და უფროდსად—ჩუსნ, ქართველთა, სასწაულთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა დაეიწყებასა მიცემაჲ, რომელი იგი ღმერთმან აღიდა და რომლისა მიერ განათლდა ნათესავი ჩუსნი და ღმრთისმეცნიერებაჲ პოვა.

ამისთვის ვიკადრე, თვთ მის წმიდისა მეოხებათა თანაშეწევნითა და თქუსნთა ბრძანებათა მორჩილებითა, მე, უნდომან მტუსრმან ფერჯთა თქუსნთამან, ყოვლად(?) . . . . . (უ)ღირსმ(ან) ა . . . . . აღწერ(ად) (ცხორებასა ამის ნე)ტარისასა, მშობ(ელთა მისთა ა)ღზრდით სლვ(?) . . . . . თა ღუაწლთა და ქ(ადაგებათა და) სასწაულთა შემდგომითი შემდგომად მიწ(ყიეს) ლიტონითა სიტყვთა. (იგი) პირი, რომელი ძუსლსა შინა სწ(ერია), არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვსა და გა-მოცხადებაჲ საქმისაჲ მ(ო)კლედ და მარტივად წარმომითქუამს, და მრავალ-კეცსა მისავე თანა აღრეულობასა ჰანბავისასა თანაწარკდილვარ. და უკუსთუ რადმე შესავალად თხრობისა, ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვსა სიტყუად გვკმარებია, იგიცა საღმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქუმულისაგან არს, და ყოველი—ქეშმარიტი და ქეშმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ. აჰა, წინაშე თქუსნსა არს, შეზღუდვილნო საღმრთოთა სიყუარულითა და მარადის მოსურნენო წმიდათა ღუაწლისანო! იკითხვედით და ერსა წარმოუთხრობდით, სადიდებელად ღმრთისა და პატივისა (ხელნაწერში: პატივასა!) მისისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ!“<sup>(1)</sup>

ფრჩხილებში ჩასმული ჩვენ გვეკუთვნის.

<sup>(1)</sup> ილია აბულაძემ, რომელსაც ვმადლობთ, გვაცნობა რომ ცხორების ეს რედაქცია დაცული უნდა იყოს სტალინის სახ. თბ. სახ. უნ. ლიტერატურის კაბინეტში. იგი, მართლაც, აღმოჩნდა კაბინეტის № 53 ხელნაწერში და ძალიან ახლო დგას A 518-თან. სამწუხაროდ, ანდერძი არ არის № 53-შიაც.

ამ ანდერძიდან ჩანს, რომ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება საფუძველი ჩვენს ავტორს არსენი ვუწოდოთ, იგი დემეტრე მეფის თანამედროვედ მივიჩნიოთ ან ქართლის კათალიკოზად ჩავთვალოთ. მწერლის დროის განსაზღვრისათვის შეიძლება ზოგადად დავეთანხმოთ თაყაიშვილ-კეკელიძის მოსაზრებებს ამ საკითხის გამო, გავითვალისწინოთ რომ ავტორი თავის თავს „ყივჩაყთა დიდთა ნათესავთა“ თანამედროვედ აქვდა განიხილებს ([2], 46), რომ ძირითადი ხელნაწერი XII—XIII ს. ჩანს და მწერალი მიახლოებით XI—XII ს. მივაკუთვნოთ. სპეციალურად შესასწავლია საკითხი ფსევდო-არსენის და ეფრემ მცირის ურთიერთობისაც, რაკი ეფრემს ნინოს ცხორების შედგენა მიეწერება [7] და იდეური კავშირიც მათ შორის ნაგრძნობია.

ფსევდო-არსენი მეტად საყურადღებო მწერალია. მისი თხზულების ლიტერატურულ მხარისა და ჰაგიოგრაფიული მიზნების შესახებ სამეცნიერო მწერლობაში უკვე არის გამოთქმული სათანადო მოსაზრებები [1] ([4], 317—320). თავისი წმინდა ლიტერატურული ამოცანა ფსევდო-არსენიმ ჩინებულად გადასწყვიტა, მაგრამ ჩვენთვის იგი კიდევ უფრო საინტერესოა, როგორც პუბლიცისტი. იგი საპატიო ადგილს დაიკავებს ძველი პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში თავისი გამოკვეთილი მსოფლმხედველობით. რადგანაც ფსევდო-არსენის მისთვის საინტერესო საკითხების გარშემო უკვე გარკვეული, საწინააღმდეგო შეხედულებები დახვდა მწერლობაში, ამიტომ მან საკუთარი კონცეპციის გამოთქმას პოლემიკური ფორმა მისცა. ვფიქრობთ რომ როცა ფსევდო-არსენი სხვა ავტორებს, კერძოდ—ლეონტი მროველს, ამბისა და თხრობის „შეუწყობლობას“, „განბნეულობას“, „აღრეულობას“ უკიჟინებს, იგი მარტო ლიტერატურულ მხარეს კი არ გულისხმობს, არამედ არსებითად ეკამათება თავის მოწინააღმდეგეებს. ეს ბრძოლა ქართული ფეოდალური საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა მიმართულებათა შორის განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს აზოს შესახებ თხრობის განმარტებაში.

„ქართლის მოქცევის“ სათანადო ნაწილის ავტორმა ეს თხრობა დაიცვა გარდმოცემის მეტნაკლებად პირვანდელი, გულუბრყვილო ფორმით, მხოლოდ ხელოვნურ ისტორიულ ჩარჩოში ჩასვა იგი. რადიკალურად ჩაერია „ქართლის მოქცევის“ თქმულებაში ლეონტი მროველი. მან არიან-ქართველთა მეფისძე აზო უცხოელად, აზონ პატრიკად, აქცია და აზნაურობის სათავეც აზონის რომაულ რაზმში მოათავსა. დიამეტრალურად განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას ფსევდო-არსენი. „ქართლის მოქცევის“ ქართველობა, რომელიც აზოს მოსდევს კავკასიაში არიან-ქართლიდან და შედარებით მარტივს, ერთგვაროვან მასას წარმოადგენს თქმულებით, მან გასთიშა და მიიღო: ერთი მხრით—„ათასი სახლი მდაბიო და მოქალაქე“, მეორე მხრით—„ათი სახლი მთავართაგან პალატისათა“. ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ იმას რომ ამ ხერხით იგი განსაზღვრული ფეოდალური წყობის იმთავითობას ადგენს,—ასეთსავე ოპერაციას ასრულებს იგი თავის თანამედროვე სამეფო სახლის მიმართაც. ფსევდო-არსენის მტკიცებით არა მარტო „ჩუშნ ქართველნი შეილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით“, არამედ „კოველნი მეფენი

ქართლისანი ამით მეფეთა შვილისშვილნი არიან“. ამით ძირეულად უარყოფილ იქნა ლეონტისეული კონსტრუქცია დინასტიათა ცვლის შესახებ ქართლში და სუმბატ დავითისძის ისტორიული ცნობები, და ბაგრატიონების სამეფო პრე-როგატივების გენეზისიც თვით ქართლის სამეფოს დასაწყისს დაუკავშირდა ფარულად. რამდენადაც კატეგორიულად, ამდენადვე სამართლიანად უკუაგდო ფსევდო-არსენიმ ლეონტის უსუსური დებულებაც ქართული ენის წარმოშობის შესახებ; ჩვენ „ენა მათი (ე. ი. არიან-ქართველების) უწყით“, ძველსა და ახალ სამშობლოში ხალხი ერთსადაიმავე ენაზე მეტყველებდაო, ასეთი იყო ახალი დებულება...

აქ ადგილი აღარ გვრჩება ამ ანალიზის გაფართოებისათვის. დასასრულ უნდა ვთქვათ მხოლოდ რომ ფსევდო-არსენის მიერ დაცულს იმ საყურადღებო ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომელთაც უკვე მიექცა ყურადღება ლიტერატურაში, უნდა დაემატოს ყველაზე ძველი ხსენება „ქართლის ცხოვრებისა“: „ამას ყოველსა ქართლისა ცხოვრებისა“ წიგნი ვრცელად მოგვთხრობს“ ([2], 48).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და

მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციაში შემოვიდა 8.6.1940)

## ИСТОРИЯ ЛИТЕРАТУРЫ

С. Н. ДЖАНАШИА

ПСЕВДО-АРСЕНИЙ

### Резюме

Предметом статьи является личность древне-грузинского писателя, давшего новую редакцию жития Нины и известного в литературе под именем Арсения; все исследователи, кроме проф. К. С. Кекелидзе, видят в нем каталикоса Грузии, причем одни исследователи считают Арсения деятелем X в., другие — современником царя Деметра I (1125—1156). На основании изучения рукописного предания и анализа записи автора «Жития», единственного источника литературных сообщений о писателе, в статье устанавливается отсутствие объективных данных, позволяющих присвоить писателю имя Арсения и титул каталикоса и считать его современником царя Деметра или деятелем X в. Имеющиеся в тексте памятника упоминания исторических деятелей XI в., следы знакомства или зависимости автора от литературных памятников того же столетия, синхронистическое указание на «великие половецкие племена» и принадлежность древнейшего списка памятника к XII—XIII вв., датируют эпоху писателя лишь приблизительно XI—XII веком.

Псевдо-Арсений—чрезвычайно интересный писатель, долженствующий занять почетное место в истории грузинской общественной мысли феодального периода. Свою литературную тему автор разрабатывает в публицистических целях и в полемической форме, утверждая изначальность современного ему аристократического строя в Грузии, связывая происхождение династии Багратионов с образованием Картлийского царства и отмечая, таким образом, соответствующие построения Леонтия Мровели, в частности—его теорию о происхождении грузинского языка. Очень важны библиографические сообщения Псевдо-Арсения—древнейшее, повидимому, упоминание знаменитого грузинского исторического сборника «Картлис цховреба», а также упоминание «Обращения Картлии» («Мокцевай Картлисай») и сочинения Мровели «История царей» («Амбави мепета»):

Грузинский Филиал АН СССР  
Институт языка, истории и материальной культуры  
им. акад. Н. Я. Марра  
Тбилиси

#### ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ივ. ჯანაშია. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წ. I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს). თბ., I გამოც., გვ. 37, II გამოც., გვ. 83—84.
2. ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათალიკოსის მიერ X საუკუნეში, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10. XI—XII ხელნაწერიდან (sic!). ტფილისი, 1902.
3. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჯორდანიას მიერ. წ. II (1213 წლიდან 1700 წლამდე). ტფილისი, 1897.
4. პროფ. კორნ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, ტფილისი, 1923.
5. Описание рукописей Тифлисского церковного музея картаино-кахетинского духовенства, кн. I, сост. Ф. Д. Жордания, Тифлис, 1903; кн. II, сост. он же, Тифлис, 1903; кн. III, сост. М. Г. Джанашидзе, Тифлис, 1908.
6. შ. მესხია. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1939, ნ. I.
7. მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის: „ძველი საქართველო“, ტ. I, განყ. III, გვ. 14—15.
8. Е. С. Такайшвили. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, Тифлис, 1906—1912.
9. ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსა ცხოვრების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. ენიშვი-ს მოამბე. ტ. V—VI, თბილისი, 1940, გვ. 645—6.
10. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველომსა, ქმნილი საქართველოს მეთაქმეტის მეფის. გიორგის ძის თეიმურაზისგან. ს.-პ., 1848.